



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „არმია“ - ოზურგეთის „არწივები“		
გუნდი	თბ „არმია“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	19/09/2021	მატჩის ადგილი	თბილისი, ავჭალის სარაგბო სტადიონი.
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	თბ „არმია“-ს სელექციონერი	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	ჯაბა კიზირია		
მომჩივანი	სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის უფროსი დავით შუბითიძე.	საჩივარი	<input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	მოქმედი დისკვალიფიკაციის პერიოდში სრკ-ს გამგეობის 02/06/2021 გადაწყვეტილების პირობების დარღვევა. მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა.	<input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> წითელი ბარათი საითინგი სხვა	თუ „სხვა“ აღწერეთ : სრკ-ს მსაჯთა სამსახურის უფროსის დ. შუბითიძის მომართვა.

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	24/09/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭ. ამირეჯიბის #6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე.		
დამრღვევის დასწრება	<input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> კი არა	სხვა დამსწრეები	<input type="checkbox"/> კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი	„სპორტული კლუბი არმია“-ს მენეჯერი	აღნიშნეთ ვინ	ბადრი ბოხუა
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის ვიდეო ოპერატორის ნ. ბროლაშვილის მოხსენებითი ბარათი. სრკ-ს მსაჯთა სამსახურის უფროსის დ. შუბითიძის მომართვა.		



**დარღვევის მხარდამჭერი დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. სრკ-ს მსაჯთა სამსახურის უფროსის დ. შუბითიძის მომართვა.
2. მატჩის ვიდეო ოპერატორის ნ. ბროლაშვილის მოხსენებითი ბარათი.
3. თბ. „არმია“ - ოზურგეთის „არწივები“-ს 19/09/2021 გამართული მატჩის ვიდეოჩანაწერი.
4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის 2021 წლის 2 ივნისის სხდომის ოქმი.

**დამრღვევის განცხადება**

„სპორტული კლუბი არმია“-ს წარმომადგენელი ჯაბა კიზირია არ დაეთანხმა მატჩის ვიდეო ოპერატორის ნ. ბროლაშვილის მოხსენებით ბარათის შინაარსს და განაცხადა, რომ მატჩის ვიდეოჩანაწერში 57-ე წუთიდან დაფიქსირებული პიროვნების ხმა მას არ ეკუთვნის.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 2021 წლის 19 სექტემბერს გაიმართა სრკ-ს მიერ ორგანიზებული საქართველოს პირველობის I ლიგის მატჩი თბ. „არმია“-სა და ოზურგეთის „არწივებს“ შორის.
2. 2021 წლის 21 სექტემბერს სრკ-ს მსაჯთა სამსახურის უფროსმა დ. შუბითიძემ წერილით მიმართა სრკ-ს სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარეს მ.თავზარაშვილს, მიაწოდა მატჩის ვიდეოჩანაწერი და სთხოვა რეაგირება მოეხდინა ვიდეოჩანაწერში 57-ე წუთიდან დაფიქსირებულ პიროვნებაზე (ვიდეოჩანაწერში პიროვნება ვიზუალურად არ ჩანს, მკაფიოდ ისმის მხოლოდ ხმა), რომელიც რამოდენიმეჯერ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს მატჩის ოფიციალურ პირებს. დ.შუბითიძემ სრკ-ს სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარეს მ.თავზარაშვილს მოახსენა პირადი აზრი, რომ ვიდეოჩანაწერში დაფიქსირებული პიროვნების ხმა სავარაუდოდ ეკუთვნოდა კლუბ თბ. „არმია“-ს წარმომადგენელს ჯაბა კიზირიას.
3. 2021 წლის 23 სექტემბერს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ. თავზარაშვილმა მოიწვია 2021 წლის 19 სექტემბერს გაიმართული I ლიგის მატჩის (თბ. „არმია“-სა და ოზურგეთის „არწივებს“ შორის) ვიდეო ოპერატორი ნ. ბროლაშვილი, რომელმაც წარდგინა ფოტო სურათში ამოიღო პიროვნება რომლის ხმაც(მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა) დაფიქსირებულია მატჩის ვიდეოჩანაწერში 57-ე წუთიდან.
4. პიროვნება, რომელიც მატჩის ვიდეო ოპერატორმა ნ. ბროლაშვილმა ამოიღო ფოტო სურათზე, არის კლუბ თბ. „არმია“-ს წარმომადგენელი ჯაბა კიზირია.
5. „სპორტული კლუბი არმია“-მ არ განახორციელა სრკ-ს სადისციპლინო კომისიისა და სრკ-ს გამგეობის 02.06.2021 სხდომის მისთვის ცნობილი გადაწყვეტილებები, არ მიიღო შესაბამისი ზომები აღეკვეთა კლუბ თბ. „არმია“-ს წარმომადგენლის, დისკვალიფიცირებული ჯაბა კიზირიას მხრიდან დისციპლინარული რეგულაციების უხეში დარღვევა.
6. სრკ-ს სადისციპლინო კომისიისათვის აგრეთვე ცნობილია, რომ კლუბი თბ. „არმია“-ს გუნდი ვარჯიშობს და მართავს სრკ-ს ეგიდით გამართულ თამაშებს ქ. თბილისის „აჭალის სარაგბო სტადიონზე“, ამავე სტადიონზე დისლოცირებულია სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახური, ვარჯიშობენ და განვითარების პროგრამებს გადიან სრკ-ს მსაჯები.
7. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.8, 5.12, 5.13, 12.10 ა) პუნქტები და სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2.



## გადაწყვეტილება

სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და სხდომაზე დამსწრე პიროვნებების განცხადებების მოსმენის შემდეგ დაადგინა:

2021 წლის 19 სექტემბერს გაიმართული I ლიგის მატჩის, თბ „არმია“-სა და ოზურგეთის „არწივებს“ შორის, ვიდეორჩანაწერზე მკაფიოდ დაფიქსირებული პიროვნების ხმა, რომელიც რამოდენიმეჯერ, განსაკუთრებულად უხეში ფორმით, შეურაცხყოფას აყენებს მატჩის ოფიციალურ პირებს, ეკუთვნის კლუბ თბ „არმია“-ს წარმომადგენელს ჯაბა კიზირიას.

## სანქციების პროცედურა

### დარღვევის სიმძიმის შეფასება

კლუბ თბ „არმია“-ს წარმომადგენლის ჯაბა კიზირიას მიერ რამოდენიმეჯერ გამოყენებული იქნა განსაკუთრებულად უხეში ფორმის შეურაცხმყოფელი ლექსიკა, რაც მკაფიოდ ისმის მატჩის ვიდეორჩანაწერში.

**შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:**

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია.

თბ „არმია“-ს წარმომადგენელი ჯაბა კიზირია:

1. 2016 წელს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის მიერ დისკვალიფიცირებული იქნა 5(ხუთი) წლით.

დისციპლინარული დარღვევა - მატჩის ოფიციალური პირის ფიზიკური შეურაცხყოფა;

2. 2019 წელს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის მიერ დისკვალიფიცირებული იქნა 1(ერთი) წლით.

დისციპლინარული დარღვევა - დისკვალიფიკაციის პერიოდში მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა;

3. 2021 წლის 26 მაისს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის მიერ დისკვალიფიცირებული იქნა 1(ერთი) წლით.

დისციპლინარული დარღვევა - დისკვალიფიკაციის პერიოდში მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა;

4. სრკ-ს გამგეობის 02.06.2021 სხდომის გადაწყვეტილებით - „სრკ-ს უგიდით ორგანიზებულ შიდა (ეროვნულ) ჩემპიონატებზე აკრძალოს სტადიონზე დასწრება კლუბ „არმია“-ს მენეჯერს ჯაბა კიზირიას - 1 წლის ვადით“.



## სანქცია

1. კლუბ თბ „არმია“-ს წარმომადგენელს ჯაბა კიზირიას სამუდამოდ აეკრძალოს სრკ-ს ეგიდით გამართულ ნებისმიერ ღონისძიებებზე დასწრება, რაც გულისხმობს სრკ-ს ეგიდით თამაშების და/ან სხვა რაიმე აქტივობის გასამართ ტერიტორიაზე შესვლას.
2. კლუბ თბ „არმია“-ს 2021-2022 წლის სეზონის ბოლომდე აეკრძალოს ქ. თბილისის „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ დაშვება (თამაში/ვარჯიში).

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	25 სექტემბერი 2021 წ.
--------------------------	--	--------	-----------------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72(სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.